ოქმი:**ო08. 3724018001**

თარიღი:**18/01/2024**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 16 იანვარი
ქ.ოზურგეთი
12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. კილაძე, პ. კიღურაძე, ალ. ღლონტი, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, დ. დარჩია, ნ. ურუშაძე, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 429 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის(ს.კ.26.05.38.161) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N 52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

4.მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

5.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის 2024ბ წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხზე, კონკრეტულად კი მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ მერიაში საექიმო ამბულატორიის აშენების მიზნით, 429 კვ.მ. მიწა გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში, კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ პროექტს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დადგენილებას ყოველ წელს განიხილავს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ამჟამად შემოტანილია პროექტი მცირე ცვლილებებით, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად. დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, რომელსაც საკრებულო ამტკიცებს ყოველწლიურად, კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა, თ. ბაქანიძემ. აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში შეტანილია ცვლილებები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი მომზადდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის რეზოლუციის-“ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, იგი უნდა განიხილოს და დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მანამდე მასზე ორი დღის ვადაში იმსჯელებს საკრებულოს შესაბამისი დარგობრივი კომისია და გააკეთებს დასკვნას.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის თავჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს პროექტი წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე და დასამტკიცებლად.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ კვლავ მოითხოვა მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰესების მშენებლობის თაობაზე მშენებლების მიერ საკრებულოში ინფორმაციის წრმოდგენა და ამ საკითხზე კონტროლის დაწესება სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და :

1. კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1,2,3 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით;

2. N4 საკითხი კომისიის სხდომაზე განხილვისა და მსჯელობის, დასკვნის მომზადების შემდეგ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით;

3. N5 საკითხი წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი